საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატში სტაჟირების გავლის წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში – კომისია) აპარატში სტაჟირების გავლის წესსა და პირობებს.

მუხლი 2. სტაჟირების გავლის მიზანი

კომისიის აპარატში სტაჟირების გავლის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, კომისიის მიერ ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვისა და განვითარების ხელშეწყობა.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სტაჟირება – კომისიის აპარატში ამ წესით რეგულირებული ანაზღაურებადი ან ანაზღაურების გარეშე საქმიანობა;

ბ) სტაჟიორი – კომისიასთან შრომით ურთიერთობაში მყოფი პირი, რომელიც ამ წესის საფუძველზე კომისიის აპარატში გადის სტაჟირებას;

გ) კანდიდატი – პირი, რომელიც ამ წესის შესაბამისად მონაწილეობს კომისიის მიერ გამოცხადებულ სტაჟიორთა შესარჩევ კონკურსში;

დ) მენტორი – სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ან მის მიერ შერჩეული შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელი, რომელიც უშუალოდ წარმართავს და კოორდინაციას უწევს სტაჟიორის საქმიანობას;

ე) კონკურსი – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატში კონკურსის ჩატარების თაობაზე კომისიის გადაწყვეტილებით გათვალისწინებული გამარტივებული საჯარო კონკურსი;

ვ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი სასწავლო ან სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება.

მუხლი 4. სტაჟირების რეგულირება

1. სტაჟიორის მიმართ ვრცელდება საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, აგრეთვე კომისიის შინაგანაწესი და კომისიაში დასაქმებული პირების საქმიანობის მომწესრიგებელი აქტები თუ ამ წესით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. სტაჟიორი არ ექვემდებარება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში დასაქმებულთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების წესის და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის სამოტივაციო პოლიტიკის და კარიერული განვითარების სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე კომისიის გადაწყვეტილებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებულ შეფასებას.

მუხლი 5. სტაჟიორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

კომისიის აპარატში სტაჟიორად მიიღება საქართველოს სრულწლოვანი, ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას, აქვს უმაღლესი განათლება ან არის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულების შესაბამისი დარგის აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, რომელიც აკმაყოფილებს ამ წესით და კომისიის აპარატის თანამშრომლის მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 6. სტაჟიორად მიღება

1. კომისიის აპარატში სტაჟიორი მიიღება კონკურსის წესით, ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე.
2. კომისიის აპარატში კანდიდატი კონკურსის საფუძველზე სტაჟიორად მიიღება კომისიის აპარატში კონკურსის ჩატარების წესის თაობაზე კომისიის გადაწყვეტილებით დადგენილი გამარტივებული საჯარო კონკურსის წესით. კონკურსის ყველა ეტაპის წარმატებით გავლის შემთხვევაში პირის სტაჟიორად მიღების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომისიის თავმჯდომარე კონკურსის შედეგების გათვალისწინებით.
3. სტაჟიორსა და კომისიას შორის შრომითსამართლებრივ ურთიერთობას აწესრიგებს წერილობითი ხელშეკრულება, რომელშიც დეტალურად უნდა იყოს აღწერილი სტაჟიორის მიერ შესასრულებელი სამუშაო.

მუხლი 7. სტაჟირების ხანგრძლივობა

1. ანაზღაურებადი სტაჟირების ხანგრძლივობა განისაზღვრება 1 თვიდან 1 წლამდე ვადით.
2. ანაზღაურების გარეშე სტაჟირების ხანგრძლივობა განისაზღვრება 1 თვიდან 6 თვემდე ვადით.
3. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დასაბუთების საფუძველზე სტაჟირების ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს ურთიერთშეთანხმებით ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში მითითებული ვადის ფარგლებში.
4. სტაჟირების ვადა ითვლება საერთო შრომით სტაჟში.
5. სტაჟირების წარმატებით გავლის შემთხვევაში, სტაჟიორს ეძლევა სტაჟირების გავლის დამადასტურებელი ცნობა.

მუხლი 8. სტაჟირების ანაზღაურება და წახალისება

1. სტაჟიორის ანაზღაურების საკითხს წყვეტს კომისიის თავმჯდომარე.
2. სტაჟიორის ხელმძღვანელის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე, კომისიის თავმჯდომარის მიერ შესაძლებელია მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება კომისიაში დასაქმებულთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების წესის და კომისიის აპარატის სამოტივაციო პოლიტიკის და კარიერული განვითარების სახელმძღვანელოს მიხედვით კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად სტაჟიორის წახალისების თაობაზე.

მუხლი 9. მენტორის/სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები

1. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი:

ა) სტაჟიორს უქმნის სათანადო პირობებს პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად;

ბ) სტაჟიორს აძლევს ძირითად მიმართულებას, განუსაზღვრავს შესასრულებელ სამუშაოს და კონკრეტული ვადას, აწვდის აღნიშნულთან დაკავშირებით დროულ და სწორ ინფორმაციას.

2. მენტორი:

ა) პირადად აკონტროლებს სტაჟიორის მიერ გაწეულ სამუშაოს და კოორდინაციას უწევს სტაჟიორის საქმიანობას;
ბ) სტაჟიორის მიერ დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობებს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.